# დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა

**რედაქცია**

გოლოვინის პროსპექტზედ. ივ. მუხრანსკის სახლებში კლუბის ქვემოთ.

**ხელის-მოწერა**

მიიღება თფილისში „დროება“-„ივერიის“ რედაქციაში, ქუთაისში „დროება-ივერიის“ აგენტთან ი. ჭყონიასთან ხიდაზე. გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ, въ редакцію „Дроэба“-„Иверіи“.

**„დროება“-„ივერიის“ ფასი**

| | წელიწადში. | 6 თვეს. | 3 თვეს |
|---|---|---|---|
| „დროება“ და „ივერია“ ერთად | 14 მან. | 8 მ. | 5 მ. |
| ცალკე „დროება“ | 9 მან. | 5 მ. | 3 მ. |
| ცალკე „ივერია“ | 7 მან. | 4 მ. | 2 მ. |

**ფასი განცხადებისა**

დიდი ასოებით ასოზე 1 კაპ., წვრილებით ასოზე მთავრულით ასოზე ნახევარი კაპ., წვრილი ასოთი ასოზე მეოთხედი კაპ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდელ წერილს რედაქცია ფოსტით ვერ დაუბრუნებს ავტორს.

განცხადებანი მიიღება ქართულს, რუსულს და სხვ. ენებზედ.

ქუთაისში განცხადება მიიღება „დროება“-„ივერიის“ აგენტთან.

ცალკე ნომერი „დროებისა“ ღირს 5 კაპ.



თბილისი 1881 წელი

არწრუნის თეატრში

დღეს, 5 აპრილს

## აკ. წერეთელი

წაიკითხავს ლექციას ვეფხვის ტყაოსანზედ.

## მესამე ლექცია

პროგრამმა

ვეფხვის ტყაოსნის შესახებ.

ქალები

ა) ნესტან დარეჯან.

ბ) თ ნათინ და

გ) ფატმან-ხათუნ.

დიდი მნიშვნელობა რუსთველისა საქართველოს ბედის წინასწარმეტყველებაში.

ბილეთები ისყიდება არწრუნის თეატრის კასსაში.

დასაწყისი ცხრის ნახევარზედ


## ტელეგრამმები

პეტერბურღი, 3 აპრილს. დღეს დილის 9 საათზე, სემიონოვის პლაცზე (მეიდანზე) ჩამოახრჩეს ხუთი სახელმწიფო დამნაშავე: ნიკოლაი რისაკოვი, ტიმოფეი მიხაილოვი, კიბალჩიჩი, ანდრეი ჟელიაბოვი და სოფიო პეროვსკისა. ყველანი ერთს ქანდარაზე (ბოძზე) ჩამოახრჩეს. გესსა გელფმანის ქალის ჩამოხრჩობა გადადვეს, რადგან ორსული გამოდგა; როცა მორჩება, მაშინ უნდა ჩამოახრჩონ.

პეტერბურღი სბირჟა, 3 აპრილს.

(„ჩრდილოეთ-მორიის ტელეგრაფის სააგენტოსი“)

| ბანკის ბილეთები: | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| პირველი გამოცემისა | 96 | 87 |
| მეორესი | 93 | 62 |
| მესამესი | 94 | 25 |
| მეოთხესი | 93 | 37 |
| აღმოსავლეთის პირვ. | 96 | 87 |
| აღმოსავლეთის მეორე | 93 | 62 |
| აღმოსავლეთის მესამე | 94 | 25 |
| ოქრო, 1/2 იმპერიალი | 7 | 94 |
| თფილისის სადგ.-მამ. ბანკის გირაოს ფურცელი | 24 | 69 |

| შინაგანის 5% სესხი ბილეთები: | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| პირველი სესხის | 223 | 75 |
| მეორე სესხის | 217 | 15 |

1 მანეთი ღირს:

| | | | |
|---|---|---|---|
| ლონდონი | 24 | 71 | პენსი |
| ჰამბურღი | 210 | 75 | ცენტი |
| პარიჟი | 261 | 50 | სანტიმი |
| ვენა | 126 | 50 | პფენიგი |
| კავკასიის კერასინი | — | — | |

## კიდევ ჩვენს ახალგაზდობაზედ

(დასასრული *)

ეხლა მოვიყვან იმ ადგილს ა. ნა-ლის სტატიიდგან, სადაც ის ამტკიცებს თუ რა არის საჭირო ჩემი პროგრამმის ასასრულებლად და რამდენათ შეუძლო საქმეა ამ პროგრამმის აღსრულება ჩვენი ახალ-გაზდობისათვის; ავტორი ამბობს:

„ვისაც სურს ჩვენი ცხოვრების სხვა-და-სხვა მხარეების მეცნიერულათ შესწავლა, იმას უნდა ჰქონდეს საფუძვლიანი ცოდნა და განათლება; მან უნდა შესწიროს თავის დრო და შრომა მეცნიერებას. უამისოთ ისტორიული, ეკონომიური და სხვა შრომების წერა ჩვენი ცხოვრების შესახებ შეუძლებელია..“ „ახალ-გაზდობას არც საჭირო მასალა აქვს, არც იმოდენი მომზადება და არც დრო, რომ შეუდგეს ს. ლორთქიფანიძის პროგრამმის სისრულეში მოყვანას.“

შემდეგ ავტორი ამბობს, რომ ვარდა სპეციალისტობისა „საჭიროა ვრცელი, საფუძვლიანი, თეორეთიული განვითარება, საჭიროა ფილოსოფიური (უკეთესი იქნებოდა — ეთქვა ენციკლოპედიური) განათლება, ის განათლება, რომლის შემწეობითა შეიძლება კაცობრიობის ცხოვრების მოვლინებათა გაგება და მათი დამოკიდებულობის გამოკვლევა.“ ავტორის აზრით სტუდენტებს ესეები არა აქვთ, მაგრამ უნდა ეცადონ შეიძინონ, რადგან რაც ეხლა აქვთ, „საკმაო არ არის ცხოვრების და ბრძოლის ველზე გამოსასვლელათო.“

მოვიხსენოთ, თუ რა შრომას ავალებს ავტორი, „საფუძვლიან ცოდნას და განათლებას“ მოკლებულ სტუდენტებს; ავტორი ამბობს:

„ამისთანა შრომით ჩვენ მივაჩნია ჩვენი ხალხის და საზოგადოების გაცნობა საზოგადოთ მეცნიერებასთან, რუსეთის ლიტერატურასთან, მის სოციალურ და ეკონომიურ ცხოვრებასთან.“

ვკითხოთ მკითხველს და ავტორს: შესაძლო არის ამაების გაგება, გაკვლევა და ჩვენი ხალხის და საზოგადოების გაცნობა იმ ახალ-გაზდობისათვის, რომელსაც, ა. ნა—ლის აზრით, „უნდა ჰქონდეს საფუძვლიანი ცოდნა და განათლება“ და რომელსაც „ამდენი მომზადება“ არ აქვს? ნუ თუ შეიძლება ვინმემ შეისწავლოს რუსეთის ლიტერატურა, მისი სოციალური, პოლიტიკური და ეკონომიური მდგომარეობა და ჩვენს ხალხს გააგებინოს, ისე რომ სხვა ქვეყნების მოძრაობა და მდგომარეობა არ იცოდეს, განვითარებული არ იყოს სხვა-და-სხვა მეზობელ სახელმწიფოების ისტორიის, პოლიტიკის, ეკონომიურ და სოციალურ მდგომარეობის ცოდნაში? განა შეიძლება ესენი მოახერხოს ვინმემ, თუ ენციკლოპედიური მომზადება არ ექნა? მე ვგონებ, არ შეიძლება და ამისთანა ნახტომებით გაცნობა საზოგადო მეცნიერებასთან, რუსეთის ლიტერატურასთან, მის პოლიტიკურ და ეკონომიურ მდგომარეობასთან, ცხადია, არც საფუძვლიანი იქნება და არც კეთილი შედეგი ექნება. თქვენგნით მითითებულ მოვალეობის შესრულებასაც „საფუძვლიანი“, ენციკლოპედიური ცოდნა და განათლება უნდა.

აქედან ერთი დასკვნა გამომყავს: ან ახალ-გაზდობას, როგორც მოუმზადებელს თქვენის აზრით, არ შეუძლია არც ჩემი და არც თქვენი პროგრამმის აღსრულება, ან, თუ თქვენი წინადადებისათვის არის მომზადებული, ჩემი პროგრამმის შესრულებაც შეუძლია.

რაც შეეხება იმ აზრს, რომ ახალგაზდობამ ისეთ პროგრამმას უნდა მოჰკიდოს ხელი, რომლის შესრულებასაც „თვით სტუდენტების მდგომარეობა, ვითარება უნდა ეხმარებოდეს“, ეს მართალია და, მგონია არ ეწინააღმდეგება ჩემი პროგრამმის დედა-აზრს: ისტორიული ფაკულტეტის სტუდენტს თვით მისი სტუდენტური მდგომარეობა, ვითარება და მოვალეობა ეხმარება საქართველოს ისტორიის და ეთნოგრაფიის შესწავლაში; იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტს თვით მისი სტუდენტური მდგომარეობა და მოვალეობა ეხმარება, რუსეთის და სხვა სახელმწიფოების პოლიტიკის და ეკონომიური მდგომარეობის გარჩევის დროს, იხელმძღვანელოს ამაების შესწავლით და საქართველოს მიაქციოს ყურადღება. ესვე ითქმის მედიკურ ფაკულტეტის სტუდენტზედაც.

რაც შეეხება იმას, რომ მე ვითომც „გაცვეთილი აზრი“ გამოვთქვი შესახებ გიგიენისა, გეთანხმებით, რომ ეს აზრი ახალი არ არის და არც მომიხსენებია თქვენთვის „ცხელ-ცხელ ამბებათ“; მაგრამ როდესაც „გაცვეთილი“ საფუძვლიანი აზრი აღსრულებაში არასდის მოუყვანია, საჭიროა მისი დრო-ზე გახსენება. ნამეტანს „დიდს სარგებლობას“, რომელზედაც თქვენ ლაპარაკობთ, გიგიენური დარიგებანი ვერ მოუტანს ხალხს; მაგრამ ისეთი დარიგებები, რომლის შესრულება ხალხს თვისი ეკონომიური მდგომარეობით შეუძლია, მიუცილებელ საჭიროებას შეადგენს. მე არ ვამბობ, რომ გიგიენური დარიგებით მოუსპობთ ხალხს ყოველს წყლულს-თქო, და თუ გიგიენურ რჩევებზე ვსთქვი, სახეში ისეთი დარიგება მქონდა, რომლის ასრულებაც, ჩემის აზრით, შესაძლო არის ჩვენის ხალხის ეკონომიურ და მატერიალურ მდგომარეობაშიაც.

ბ. ნ—ლი მეუბნება: „ან არა მსმენია-რა, ან და ერთ ყურში შესვლისათანავე მეორეში გამპარვია“ ის, თუ რა დამოკიდებულება აქვს გიგიენას და ხალხის ავათმყოფობას მის ეკონომიურ და სოციალურ მდგომარეობასთან. მესმის პიტერბურგის პროფესორის ზეიგელის აზრი, რომ „საზოგადო გიგიენას აქვს საქმე ხალხის ტანის სიმრთელესთან და ამისათვის შეწევნის საშუალებასაც საზოგადოებისაგან მოითხოვს“ და ამ ნაირად საზოგადოთ გიგიენური ცხოვრების გაუმჯობესობა დამოკიდებულია საზოგადოების ეკონომიურ და სოციალურ მდგომარეობაზე; მაგრამ ჩვენ საზოგადოებაში ისეთი უგიგიენო ცხოვრება მოინახება, რომლის გასწორებაც შეიძლება მისი ეკონომიური მდგომარეობით.

რუსეთის ახალგაზდობამ „კარგი ხანია რაც გამოიცნო“ თუ რა დამოკიდებულება აქვს გიგიენურ და სხვა ამ გვარ კეთილ ცხოვრებას ეკონომიურ და სოციალურ მდგომარეობასთანო. ამაზედ ჩემი აზრი ის არის, რომ რუსეთის ახალგაზდობის გამოცნობამდინ იყო დასავლეთ ევროპაში გამოკვლეული ეს საგნები, მაგრამ ამ დამოკიდებულების შეგნებას ვერ მოუსპია რუსეთში ტიფი, ყვავილი, დიფტერიტი, ჟამი და სხვა ამ გვარი ავათმყოფობა.

დასასრულ, ვერ გამიგია, სიდგან გამოიყვანა ა. ნ—ლმა ჩემს სტატიაში ის აზრი, რომ ვითომც ხალხის ბედს და უბედობას მარტო უგიგიენო ცხოვრებას ვაწერდე, რომ მხოლოდ უგიგიენო ცხოვრებას ვაბრალებ ხალხის ავათმყოფობას და არ მაქვს მხედველობაში უგიგიენური ცხოვრების თავი მიზეზი, ესე იგი ხალხის ეკონომიური მდგომარეობა? სად ვამბობ მე, ჩემს სტატიაში, რომ, მიუხედველათ ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესების, მარტო გიგიენური რჩევებით მოვსპოთ ქვეყანაზე ავათმყო-

*) „დროება“, № 72.

ფობა და განვათავისუფლოთ კაცი სიკვდილისაგან-თქო? ამას მე არსად არ ვამბობ.

სიმ. ღორთქიფანიძე.

კიევი, 25 მარტს.

## ახალი ამბები.

—

მეორე ლექცია აკაკი წერეთლისა კიდევ უკეთესი იყო პირველ ლექციაზე ამ ლექციაზე ნიჭიერი ლექტორი პირ-და-პირ თავის საგანს შეუდგა: მოიყვანა რამდენიმე მაგალითი „ვეფხვის-ტყაოსნის“ გავრცელებაზე და გავლენაზე ჩვენს ხალხში და რამდენიმე სიტყვაც თვით რუსთველის გმირებზე ტარიელზე, ავთანდილზე და ფრიდონზე სთქვა.

მესამე და უკანასკნელი ლექცია იქნება დღეს კვირა საღამოს. შეჭველია, რომ ეს ლექცია წინანდელ ორზე უფრო საინტერესო იქნება.

* * *

მეტეხის მღვდელი მ. ი. ლომაური გვთხოვს გამოვაცხადოთ, რომ მეტეხის ციხის სატუსაღო ბიბლიოთეკისათვის ამ უკანასკნელ დროს შემდეგ პირებს შეუწირავს წიგნები:

კავკასიის არმიის უმფროსმა მღვდელმა შემოსწირა ათი წიგნი რუსულს ენაზედ.

ბ. დიმიტრი სიდამონოვ-ერისთავმა 73 წიგნი ქართულს ენაზედ.

ბ. ინჟინერმა რიკოვსკიმ 35 წიგნი რუსულს ენაზედ.

თბილისის გაზეთების რედაქციამ: „დროებისა“, „კავკაზისა“ და „მშაკისა“ შემოსწირეს თითო ეკზემპლიარი თავის გაზეთისა ამა 1881 წ.

ბ. იოსებ ადამიამ შემოსწირა 26 წიგნი ქართულს ენაზედ.

შუბანის მხრიდგან უცნობმა პირმა ორი რუსული ჟურნალი „ნივა“ და „სემია ი შკოლა“ 1880 წ.

ივანე იოსების-ძემ ზედგენიძემ რამდენიმე წლის ჟურნლები რუსულს ენაზედ „დომაშნაია ბესედა.“

„ბრიტანიის დაბადების საზოგადოებამ“ შემოსწირა 93 წიგნი: რუსულს, ქართულს, სომხურს, თათრულს და სპარსულს ენებზედა.

* * *

ბორიდამ გვწერენ:

„ჩვენისთანა უბედური ქალაქი დედა-მიწაზე არ გაჩენილა. ცალი ნაპირი ქალაქისა ლიახვს შევაჭამეთ; ახლა მეორე მხრით მტკვარი გვემუქრება. ხიდი მტკვარს მივეცით. დღემდინ ნავტიკებით და პარომით გადადიოდა ხალხი რკინის გზის სტანციაზე და ახლა სოფლური ხიდი გააკეთეს; ისეთ ნაირად ფამფალობს, რომ სუსტ წერვებიან კაცს ამაზე გასვლა გაუჭირდება; მაგრამ ამასაც დღეს თუ ხვალ, უეჭველია, მტკვარი წაგვართმევს. თითო გასვლაზე ქვევით კაცს ორ კაპეიკს ახდევინებენ, თუმცა ხიდმა თავის ფასი მგონია, დიდი ხანია ამოიგო. ამ გარემოებას უნდა მივაწეროთ, რომ სოფლის ხალხს ქათამი, კვერცხი და სხვა ხორაგეული ველარ შემოუტანია ბორში და ამიტომ ყველაფერი ძვირობს აქა“.

* * *

სიღნაღიდამ გაზეთს კავკაზში იწერებიან, რომ ამ ქალაქში და იმის ახლო-მახლო სოფლებში საოფლე (ტიფი) გაჩენილა.

* * *

ჩვენ მივიღეთ ბ. მოჩხუბარიძის პასუხი შესახებ „დროების“ მე-70 ნომერში დაბეჭდილის ბ. აკაკის წერილისა. ბ. მოჩხუბარიძე ამტკიცებს, რომ იმას არავითარი ვარემე განზრახვა არ ჰქონია თ. აკაკის ლექციის შინაარსის მოყვანაში და თუ რამ შეცდომით იყო მოყვანილი, ეს იყო უბრალო შეცდომა და სხვა არაფერი.

ჩვენ არ ვბეჭდავთ ამ პასუხს ბ. მაჩხუბარიძისას, რადგან იმედი გვაქვს, რომ ბ. აკაკის ლექციები ჩვენს გაზეთში დაიბეჭდება და ნამდვილის მაშინ შეიტყობს მკითხველი.

* * *

გაზეთს „ნოვოე ვრემიაში“ იწერებიან:

„უკანასკნელ დროში ჩვენ ჟურნალ-გაზეთებს და მსწავლულის საზოგადოებას ბევრი ლაპარაკი ჰქონდათ იმ საგანზედ, რომ დრო და აუცილებელი საჭიროება მოითხოვს მივეშველოთ ხალხსაო, რათა იმის შრომას ჰქონდეს ღირსეული გამოჩენითი ძალაო, დავაფუძნოთ იმ გვარი საზოგადოებაო, რომლის მხედველობაში იყოსო სხვა-და-სხვა მხარე ჩვენის ქვეყნისაო და ამ საზოგადოებამ ყველა მხარეს გაუადვილოსო გამოგნება იმ სწავლის ჭეშმარიტებისა რომელზედაც უნდა იყოს დამოკიდებული ადგილობრივი ხალხის შრომა და გამორჩენა.

„ამისთანა აზრის ასრულებას შეუდგა საზოგადოება, რომლის თაოსნათ არის გრაფი ნ. პ. იგნატიევი. წევრთ ამ საზოგადოებისა, რომელთაცა შორის იხსენებიან დიდი გამოჩენილი სახელოვანნი და განთქმული საზოგადოებაში პირნი, განიძრახეს, რათა საუკუნო სახსოვრათ ნეტარ-ხსენებულის მეფის—განმათავისუფლებელისა, და გლეხების საშველათ შეადგინონ დიდი საზოგადოება და უწოდონ სახელათ:“ საზოგადოება გასაუმჯობესობლათ ხალხის შრომისა სახსოვრათ მეფის-განმათავისუფლებელისა.“

„ამ საზოგადოებას უნდა ჰქონდეს აზრათ გავრცელება სოფლებში და ქალაქებში პირველ-დაწყებითი სამეურნეო, სახელოსნო, სატეხნიკო და სხვა ამგვარი სკოლებისა, მუზეებისა და გამოფენისა, რათა ამისთანა საშუალობით შეეწიონ სოფლებში და ქალაქში მცხოვრებ ხალხს, აგრეთვე კერძო პირთ, რომელთაც სურვილი აქვსთ გახსნან ამისთანა სკოლები, სახალხო შრომის დამცველი კასსები და სხვა ხალხთ შემაწევარი დაწესებანი და მით შეცვალონ ხალხის შრომის მიმართულება და მათი მდგომარეობა.“

## „დროების“ კორრესპონდენცია.

—

**ცხინვალი**, 1 აპრილს. აგერ სამი თვეა, რაც სოფ. ცხინვალში ორ-კლასსიანი ნორმალური სკოლა დაარსდა. ამ სკოლის დაარსება ცხადათ გვიმტკიცებს—თუ რა დიდი სურვილი აქვს ჩვენ საზოგადოებას, რომ თავის შვილებს განათლება მისცეს. როგორც შეიტყო საზოგადოებამ, რომ შაგირდების მიღება ამა-და-ამ დღეს იქნებაო, მაშინვე შეიკრიბა, სკოლის წინ და ბ. ჯაფარიძეს, ამ სკოლის ზედამხედველს, მოსვენება არა ჰქონდა თხოვნების მიღებით. ყველას უნდოდა იმას შვილიც მიეღოთ.

მსურველნი ბევრი ამოჩდენ, მაგრამ ადგილი კი შაგირდებისათვის კლასსებში არ იყო საკმაო.

ამ ჟამათ სკოლაში შაგირდები არიან 76 ვაჟი და 6 ქალი. როდესაც სკოლის სახლს გაადიდებენ (ამას ძლიერ ცდილობს ბ. ჯაფარიძე), მაშინ, ეჭვი არ არის, შაგირდები ერთი-ორათ მოემატებიან.

ბ. ჯაფარიძე გამოცდილი და კარგი მცოდნეა თავის ხელობისა. სამი თვეა რაც სკოლა გაიხსნა და ამის შაგირდები ეხლავე აკვირვებენ მნახველს ცოდნით, სწავლით... ბ. ჯაფარიძეს ეტყობა, რომ ის „ახალი პედაგოგი“ არის; არც ერთს საქმეს არ დაიჭერს საზოგადოების დაუკითხავათ და ცდილობს სკოლა შეაყვაროს ხალხს. ჩვენ მეტათ მოგვწონს, რომ ბ. ჯაფარიძე ადგია იმ აზრს, რომ სწავლა საზოგადო საქმეა და თითონ საზოგადოებამ უნდა იზრუნოს თავის თავზედ, რომ ყოველთვის თვით მოქმედება საჭიროა და არა სხვების პოლიციური მზრუნველობა... ამას ისიც დაუმატეთ, რომ ბ. ჯაფარიძე წინაამდეგია „ყაზარმული დისციპლინისა“, რომელიც ზოგიერთა ჩვენ სკოლებში სუფევს და იმ მიზანს ელტვის, რომ სწავლაში არსებობდეს თავისუფლობა, ბავშვები იზრდებოდნენ ისე, როგორც ბუნების კანონი და ახალი პედაგოღია ითხოვენ.

მოვიდა თუ არა ბ. ჯაფარიძე ცხინვალში, მაშინვე დაარსდა „მკითხველთა საზოგადოება“. ამის მოსვლამდინ ცხინვალელების ჭკუა-გონება იკვებებოდა სხვა-და-სხვა ჭორებით, ეხლა კი გაზეთები გაგვიჩნდა, ჟურნალებიც, ეხლა ჩვენც კაცური ფერი დაგვედო.

ეს კიდევ არა—ფერი: ბ. ჯაფარიძეს სურს საორთავეოთ „საკვირაო სკოლა“ გამართოს, წერ-კითხვა ასწავლოს ხალხს, ლექციები იკითხოს. ვინც ამ ახალგაზდა პედაგოგს იცნობს, ყველა დარწმუნდება, რომ ამ საქმეს შეასრულებს.

ბირდა ნორმალური სკოლის სოფ.

ცხინვალში სამი სკოლა კიდევ არის; ორი სკოლა აქვსთ გამართული კერძო პირთა, ერთი დიაკვანს და მეორე მოლოზანს. ეს პატივცემულნი მოღვაწენი განათლებისა ძველებურათ „ანუ-ბანუს“ ასწავლიან შაგირდებს.

მესამე სკოლა სომხებს აქვსთ გამართული ეკკლესიის ხარჯით. ამ სკოლას აქამდისინ „ვაჭრული“ მიმართულება და ხასიათი ჰქონდა. ჯერ ვერ შეგვიძლიან ვსთქვათ—ახლათ მოსული მასწავლებელი ამ სკოლას რა გზაზედ დააყენებს; ეს კია, რომ ეს მასწავლებელი თვალ-ყურს ადევნებს-თუ როგორ მიდის საქმე ნორმალურ სკოლაში. „ხარი ხარიან დააბი, ან ზნეს იცვლის, ან ფერსაო“, ამობს ანდაზა; ადვილათ შესაძლებელია, რომ სომხების ყმაწვილებმა არშინის და ადლის ხმარების მაგივრათ სხვა რამ სასარგებლო ისწავლონ.

ცხინვალის სომხებს სურთ ქალების სკოლა გამართონ. სკოლისათვის სახლი დაიჭირეს. ეს კეთილი და სასარგებლო საქმე დაიწყო ეკატერინე იარალოვისამ, რომელიც გულმხურვალეთ ელტვის თავის მიზანს... სასიამოვნოა, როდესაც ჩვენში ამისთანა მაგალითებს ვხედავთ, როგორც იარალოვის ზრუნვა სკოლის გახსნაზედ.

ხ—ი.

## წერილი რედაქტორთან.

—

ბ-ნო რედაქტორო! უმორჩილესად გთხოვთ ეს ჩემი შენიშვნა დაბეჭდინოთ თქვენს გაზეთში.

მარტის „დროების“ 64 ნომერში იყო დაბეჭდილი სიტყვა, შესახებ თბილისის საქალებო ინსტიტუტის სახლისა, ვითომც, „საქალებო ინსტიტუტის შენობა დაზიანებულა, კედლები დაშლილა, და ამის გამო ორს კლასში სწავლა კიდეც შეუჩერებიათ, რადგან საშიშოთ დაუნახავთ ამ კლასებში ქალების ყოფნა. თუ ეს ხმა მართალია, აუცილებლად საჭიროა, რომ, არა თუ მარტო იმ ორ კლასში, არამედ მთელს ინსტიტუტში, ახლავე მოისპოს სწავლა და სანამ საფუძვლიანათ შეაკეთებენ ამ შენობას, მანამ სხვაგან სადმე იშოვონ ინსტიტუტისათვის სადგომი.“

რადგან ამ გვარ ხმას, მეტადრე გაზეთში, შეუძლიან საზოგადოება შეაწუხოს, მეტადრე ის დედ-მამანი და ნათესავები, რომელთაც ყმაწვილები ინსტიტუტში აღსაზრდელათ ჰყავთ, ამისათვის მოვალეობა მოითხოვს, რადგან მე ეს საქმე დაახლოვებით ვიცი, ნამდვილი გარემოება ვაცნობო „დროების“ მკითხველთა:

ინსტიტუტის სამ კლასს, პირველს, მეოთხეს და მეექვსეს, ჭერის კარნიზები (არშიები) აქვთ ალი-

ბასტრისა სპარსეთის ხელოვნობისა; თითო იმ კარნიზის სურათი სიმძიმით ორი გირვანქიდამ თხუთმეტ გირვანქამდინ გამოვა. ამ მოკლე ხანში, იმ დროს, როცა ყმაწვილები კლასებიდგან გამოვიდნენ, ერთ კლასში ერთი სურათი ჩამოვარდნილიყო.

ამ გარემოებას ინსტიტუტის უფროსებმა მაშინვე სრული ყურადღება მიაქციეს: დაუყოვნებლივ დაიბარეს ინსტიტუტის არხიტექტორი ბელოვი და სამი კლასის ყმაწვილებს, მოკლე დროთი, აქტის ზალი მიუჩინეს, რომ სწავლას არ მოჰკლებოდნენ. ბელოვმა საჩქაროთ შეამოწმა თუ არა კლასები, მაშინვე, სახლის-პატრონის თანხმობით, ოსტატებს ერთი კლასის კარნიზები სულ ჩამოაშლევინა; აგრეთვე დანაშთენ ორ კლასშიც აპირობდა ბელოვი სრულებით კარნიზების ჩამოშლასა, მაგრამ რადგან ეს შემთხვევა ინსტიტუტის უფროსებმა საჩქაროთ ქაღალდით მოახსენეს მის უაღმატესობულებას ბ. სტაროსელკის, რომელმაც თვისი მხრით კვირცხლი განკარგულება მოახდინა და მისცა ბრძანება აკადემიკს სიმონსონს (ესეც არხიტექტორია), იმასაც შეემოწმებინა ინსტიტუტის კლასები, ამისათვის, იმისი (სიმონსონის), რჩევით, ორ კლასის კარნიზები აღარ ჩამოუშვიათ, არამედ ოსტატებს ახალი ალიბასტრით კარგათ გაამაგრებინეს ისინი.

რაიცა შეეხება ინსტიტუტის კედლების დაზიანებისა და დაშლასა, ეს რომ შეენიშნათ ბ. ბ. არხიტექტორებსა და ეცნობებინათ ინსტიტუტის გამგებლებისათვისა, მაშინ, ნამდვილია, ინსტიტუტს ერთ დღესაც აღარ დააყენებდნენ ამისთანა საშიშ სახლში.

მისეილ დიდებულიძე.

თბილისი, აპრილს 2-ს.

# უცხოეთი

**ინგლისი.** დეპუტატთა პალატაში გამოუცხადებია სამინისტროს წევრს დილკს, რომ როდესაც ოსმალეთისა და საბერძნეთს შუა გარდასწყდება უთანხმოება, მაშინ ინგლისის მმართებლობას შეეძლება ოსმალეთის ქვეშევრდომ სომხების ბედის გაუმჯობესობას შეუდგეს.

— ინგლისმა მოსთხოვა ამერიკის შეერთებულ შტატებს, რომ დაუთმონ ის დამნაშავე, რომელმაც ამას წინათ განიზრახა ქალაქის გამგეობის სახლის აფეთქება და რომელიც ამერიკაში გაიქცა.

—

**რუმინია.** ქალაქ იასსაში დაუტუსაღებიათ რამდენიმე რევოლიუციონერი, რომელნიც რუმინიაში რესპუბლიკურ აზრებს ავრცელებდენ და რესპუბლიკის დადგენას ჰფიქრობდნენ.

— რუმინიის სენატს გარდუწყვეტია განდევნოს რუმინიიდამ ყველა ემიგრანტები — რევოლიუციონერები

—

**იტალია.** ამ უკანასკნელ დროს, გაზეთებში იწერებოდენ ჯუზეპე გარიბალდის მძიმე ავათ-მყოფობაზედ. ეს რამდენიმე ხანია ამაზედ აღარას იწერებიან.

— იტალიის სამინისტროს გაზეთი „დირიტტო“ ამბობს, რომ იტალიის მმართებლობა არ დათანხმებულა და არც დათანხმდება ემიგრანტების შესახებ რამე ცვლილება მოახდინოს თავის კანონებში. თავისუფალი თავისშეფარვის ნება აქვთ იტალიაში ყველა უცხოელებსო.

—

**ოსმალეთი.** „არცერთი ევროპის მეფის სიკვდილი, არც მოკვლა არ იქონიებდა ისეთ გავლენას აღმოსავლეთში, როგორც რუსეთის მეფის სიკვდილმა იქონიაო“, იწერებიან კონსტანტინეპოლიდამ გაზ. „პორიადოკში“. მიზეზი ამისა ის არის, რომ რუსეთი ოსმალეთს თავის მოსისხლე მტრად მიაჩნია. ამიტომ არის, რომ პეტერბურღიდამ მიღებულმა დეპეშამ, 1 მარტის შემთხვევის შესახებ, დიდი შთაბეჭდილება მოახდინა აქაურ ქრისტიანებზედ და მაჰმადიანებზედ. პირველები ძალიან შეწუხებული და გაკვირვებული იყვნენ ამ შემთხვევით; მეორეთ კი, მაჰმადიანთ, ღიმილი ეხატებოდათ სახეზედ და სიხარულით იმეორებდნენ ყორანიდამ ალლახის შესხმას ამ გვარი მტრისგან განთავისუფლებისათვის.

როდესაც რუსის საელჩოს ეკკლესიაში პანაშვიდს იხდიდნენ მიცვალებულ იმპერატორისათვის, არც ბრწყინვალე პორტას და არც ხონთქარს არ მოაგონდათ, რომ თავიანთი წარმომადგენელი გამოეგზავნათ ამ პანაშვიდზე. ეს გარემოება ყველას ეცა თვალში.

„სპარსეთის შახმა დაამტკიცა ამ შემთხვევაში, რომ ის უფრო პატიოსანია, ვინემ თვით პარიჟში განათლებული ოსმალები.

„ხონთქრისაგან ფიცხელი ბრძანება იყო გაცემული, რომ ამ საგანზედ არაფერი არ დაიწეროს არც ერთ გაზეთში. ხონთქარი, რომელზედაც მეტის-მეტი შთაბეჭდილება იქონია ამ შემთხვევამ, სულ დინამიტზედ, ყუმბარებზე, საწამლავზე და ხანჯლებზე ჰბოდავს. სულ იმის ფიქრშია, ამ მაგალითს იქნება წამბაძავი გამოუჩნდეს რომელიმე მამულის-მოყვარე ბერძენი, ჩერქეზი ან ქურთი და იმასაც მოუღონ ბოლო და აუფეთქონ. ამის გამო ერთი-ორათ გაამრავლა სასახლის მცველები. საქმელიც ვერ უჭამია, რომ ჯერ სხვას არ გაასინჯვინოს.

„ეხლა ეს გაუხდათ საფიქრალათ და დარდათ — თუ როგორ პოლიტიკას დაიჭერს ოსმალეთთან რუსეთის ახალი იმპერატორი.

„ძალიან დააფიქრა აგრეთვე ოსმალეთი სკობელევის გამოხმობამ და ბეოკ-თეფეში ომის შეწყვეტამ. ამაში ისინი ხედვენ რაღაც კავშირს რუსეთსა და ინგლისს შუა.

# სამართალი

## ხელმწიფის მკვლელების საქმე.

სენატის სასამართლო

(სხდომა 26 მარტს*)

რისაკოვის დაწერილი ჩვენება

(გაგრძელება)

ხელმწიფის მოკვლა, რისაკოვის აზრით, „ნაროდნაია ვოლიას“ ერთი იმიტომ განიზრახა რომ რევოლიუციონერები დაიცვა მტარვალობისაგან, მეორე იმიტომ რომ ხალხის თვალში ამაღლებულიყო, ძალა მისცემოდა ამ პარტიას და მესამეც კიდევ იმიტომ რომ ეს იყო პასუხი იმ უსამართლოდ დევნისა და ტანჯვისა, რომელიც რევოლიუციონერებს მიაყენეს. რისაკოვი არ თანაუგრძნობდა ტერორის მომხრეებს, მაგრამ იმათი მოქმედება ახლანდელ დროში სასარგებლოდ მიაჩნდა, რადგან ამით დაწესდება ახალი სოციალური და პოლიტიკური წყობილობა რუსეთში. „სოციალისტი თავის უფლებას რევოლვერის ლულაში ატარებს“, — ასე ამბობს რისაკოვი.

ხელმწიფის მოკვლით, რისაკოვის სიტყვით, რევოლიუციონერები ოთხს მიზანს მიაღწევდნენ: 1) მოისპობოდა ტერორი, რადგან ახალს წყობილობაში ის საჭირო აღარ იქნებოდა; 2) სოციალისტებს თავისუფლად შეეძლებოდათ თავიანთ აზრების გავრცელება; 3) მოისპობოდა ხალხის აჯანყების მიზეზი; გლეხ-კაცების აჯანყების ჩვენც, სოციალისტებსაც კი, რომელთაც „ბოროტებაში გამოჟანგულ ხალხს“ გვეძახიან, ჩვენც კი გვეშინოდა, და 4) ამით მოისპობოდა ხელმწიფის მტერობა რევოლიუციურ პარტიისადმი.

ყველა ამ მიზეზით, რისაკოვი მართლა, როგორც ჟელიაბოვი ამბობს, მიისწრაფოდა, მოუთმენელად მიეშურებოდა ხელმწიფის მოსაკლავად. ამის გამო როცა მე, ჟელიაბოვის წინადადებით, დავთანხმდი ხელმწიფის მოკვლა მეკისრნაო, ამბობს რისაკოვი, მე წმინდა სინიდისით და კეთილგანზრახვით ვმოქმედებდიო.

—

ყველა ბრალდებულთა ჩვენებიდამ ნათლად სჩანს, რომ რევოლიუციურ პარტიას ბევრი ფული და შეძლება არა ჰქონიათ. რისაკოვს ვაჭრის ზრომოვის კანტორიდამ, სადაც იმის მამა მსახურებდა, ეძლეოდა თვეში სამი თუმანი; დანარჩენი ბრალდებულნიც რევოლიუციურ პარტიის თანხიდამ იღებდნენ თვეში ორ-სამ თუმანს და ამით ცხოვრებდნენ, ამით ემზადებოდნენ ხელმწიფის მოსაკლავად.

*) „დროება“, №-ში 72

საინტერესო ბრალმდებით აქტში მოყვანილია სოფიო [illegible] ქალის ბიოგრაფიული ცნობები; [illegible] განათლება თავის შეძლებულ მშობლების სახლში; 1869 წელს საქალებო უმაღლესს კურსებზე უსმენია ლექციები, 1870 წ. დაუტოვებია დედ-მამის სახლი და სოფლის მასწავლებლად დამდგარა. 1872 წლიდამ პეროვსკაია მიმხრობია სოციალ-რევოლიუციურ პარტიას და მას აქეთ რამდენჯერმე ყოფილა დატუსაღებული და პეტერბურღიდამ გაგზავნილი. სხვათა შორის 1878 წ. ის გაუგზავნიათ ოლონეცკის გუბერნიაში დასასახლებლად, მაგრამ გზიდამ გამოქცევია ჟანდარმებს, დაბრუნებულ მალვით ისევ პეტერბურღში და ვოინოვის გვარით დაუქირავებია სადგომი. იმასა და ჟელიაბოვს, როგორც „ნაროდნაია ვოლიასა“ და „აღმასრულებელ კომიტეტის“ წევრებს, ყველაფერი სცოდნიათ, რაც კი ამ პარტიაში ხდებოდა, რაც განზრახვა იყო.

რამდენიმე დღით ადრე 1 მარტამდინ ის თვალ-ყურს ადევნებდა იმპერატორს, უდარაჯებდა და ტყობულობდა — თუ რა დროს გამოდიოდა სასახლიდამ, სად მიდიოდა, სად რამდენ ხანს რჩებოდა, რა ქუჩებით დაიარებოდა და სხვ. 1 მარტს, პეროვსკის ქალის პლანით და ხელმძღვანელობით იყვნენ ბრალდებულნი დაყენებულნი ხელმწიფის გზაზე; იმას არ ჰქონია სასროლი ყუმბარა მხოლოთ იმიტომ, რომ სამის მეტი არ ყოფილა იმ დღისათვის დამზადებული. როცა რისაკოვმა და მეორემ („კოტიკმა“) ხელმწიფეს ყუმბარები ესროლეს, პეროვსკისა იმ დროს ეკატერინეს არხის მეორე მხარეზე იდგა და იქიდამ უცქეროდა. და როცა იმათ ესროლეს ყუმბარები, ის მიბრუნდა და ნელ-ნელა წავიდა.

რაც შეეხება მიზეზს — თუ რისთვის მიემხრო პეროვსკისა რევოლიუციურ პარტიას, ამაზე აი რა სთქვა: ჩვენი განზრახვა იყო დაჩაგრული ხალხი ეკონომიურად და ზნეობითი აგვედგინა, გვინდოდა სიცოცხლე და თავის ვინაობის, თავის ძალის გაგება შეეძინა ხალხს, შეეტყო თავის უფლება. ამ განზრახვის ასასრულებელად ჩვენ მხოლოთ ერთი იარაღი გვინდოდა გვეხმარა: ქადაგება ჩვენის აზრებისა ხალხში. მაგრამ როცა მთავრობამ ჩვენ შესახებ ერთობ მკაცრი საშუალება იხმარა, როცა ჩვენ მომხრეებს უმოწყალოდ, უსამართლოდ გზავნიდნენ ციმბირში და ახრჩობდნენ, მაშინ ჩვენ სხვა გზას დავადექით, სხვა იარაღს მივმართეთ — ტერორს, ძალდატანებას, კვლას.

ჟელიაბოვსა და პეროვსკის ქალს, ამ საქმეში მონაწილეობის მიღების გარდა, ბრალდებათ კიდევ სხვა დანაშაულიც; ჟელიაბოვს, რომ 18 ნოემბერს 1879 წ. ქ. ალექსანდროვსკის მახლობლად განიზრახა იმან რკინის გზის აფეთქება იმ დროს, როცა ხელმწიფეს უნდა გაევლო და ამნაირად ხელმწიფე-იმპერატორის მოკვ-

ლა; პეროვსკის ქალს ბრალდება, რომ ამგვარი განზრახვა ჰქონდა ხელმწიფის მოკვლისა 19 ნოემბერს 1879 წ. მოსკოვის მახლობლად, კურსკის რკინის გზაზე. ბრალმდებით აქტში დაწვრილებით მოყვანილია გოლდენბერგის ჩვენება ჟელიაბოვის შესახებ და სხვა გარემოებანი, რომელნიც ამტკიცებენ, რომ ამათ ზემოხსენებულ შეთქმულობაში მართლა მონაწილეობა მიუღიათ.

ბრალდებულის კიბალჩიჩის თაობაზედ ცალკე ბრალმდებითი ოქმია შედგენილი. ამ ოქმიდამ ვტყობულობთ, რომ კიბალჩიჩს (ტეხნიკს) ბრალდება: 1) მიიღო მონაწილეობა იმ შეთქმულობაში, 1879 წ. 19 ნოემბერს როდესაც ქ. ალექსანდროვსკთან რკინის გზაზე ხელმწიფის მოკვლას აპირებდნენ; 2) მიიღო მონაწილეობა ამ გვარსავე შეთქმულობაში იმავე 1879 წ. ოდესის მახლობლად რომ ხელმწიფის მოკვლას აპირებდნენ და 3) რომ მოიგონა და გააკეთა ასაფეთქი ყუმბარები, რომლითაც 1 მარტს 1881 წელს მოჰკლეს ხელმწიფე იმპერატორი ალექსანდრე მეორე.

ამით ვათავებთ შემოკლებით ბეჭდვას ბრალმდებით ოქმისას.

(შემდეგი იქნება)

# განცხადებანი

„განმგებელი კომიტეტი ტფილისის გუბერნიის თავად აზნაურთა საზოგადოებისა, შეუძლებელ მოსწავლეთა შემწეობისათვის“ ამით აცხადებს რომ ამ წლის 27 აპრილს დილის 10 საათზედ თბილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საადგილ-მამულო ბანკის სადგომში იქმნება საზოგადო კრება „საზოგადოების“ წევრთა.

**განსახილველნი საგანნი:**

ა) ანგარიში განმგებელი კომიტეტის წარსული წლის მოქმედების შესახებ.

ბ) კომიტეტის წინადადება სკოლისთვის საკუთარი სახლის შეძენის თაობაზედ. (5—2)

---

**ლონდონის მაღაზია** კომერციული ბანკის ქვეშ დაარსებულია ნამდვილი ჩაიგასასყიდლად პირველი პოკრეფილისა და საუკეთესო ინგლისური საქონლისა: მაგალითებრ: თოფებისა, რევოლვერებისა, კლიტეებისა, ჭურჭლებისა, კრავატებისა, დანებისა, კოვზებისა, ჩაიდნებისა, შოკოლადისა, კაკაოსი, დუხებისა, საპონისა, შხო კებისა, ცხვირ-სახოცისა, ქაღალდისა, კარანდაშებისა, კალმებისა, უნაგრებისა, სუკრისისა (გემრიელი კლეშჩევინი ზეთისა) და სხვ. საგენტო მაკინტოშის მოსასხურავებს გასასყიდლად კანფეტების და ბატკერის და კამპ. მურაბისა, აგრეთვე ჩულქებისა და წინდების ნოტინგამიდამ. ნამდვილი ჯავანას იგარები. (100—48)

---

**დიდ-ძალ საქონლის დასქიდვა**

ფაბრიკის ფასებით, ინგლისის მაღაზიაში, არწრუნის გალერეიაში.

იქვე ისყიდება: წყლის-საწურავი მაშინები, დოგვი, სახამებელი, კაკაო, შიკოლადი, სტაქნები და სახის დასამშვენებლად რძის, ნუშის და გლიცერინის საპონი; ახალ სისტემის თოფები. (10—10)

---

ინგლისის მაღაზიაში

თმის ამო-ყვანი



მაკ-მას-ტერი

ამაგრებს თმას და ადრაბადელ ფერს აძლევს, ფასი ერთი შუშისა 2 მან., გაგზავნით 2 მანეთი და 28 კაპ.

აქვე ისყიდება ქინის პომადა თმების გასამაგრებლად. ფასი 1 მან. სჩოტკები თავის ტკივილის მოსასპობლად, ტუალეტის საპონი, დუხები და სხვ. (150—57)

---

**ბევრი კრაოტები**

ფოდნოსები, კლიტეები, კალმები, ქაღალდები, თოფები, რევოლვერები, სტაქნები, ციტრატ-მაგნეზია, კანფეტები, მურაბები და სხვ. ისყიდება ინგლისის მაღაზიაში.

იქვე: პალტო 12 მან—დამ, შარვლები 4 მან—დამ, ტრიკო 70 კ. არშინ, თეფშები 12 კ. ერთი, ქიახტის ჩაი პირ-და-პირ მოსავლის ადგილიდამ მიღებული 1 მან. 5 კ.—2 მან. (უმშვენიერესი) გირვ. უქაღალდოთ. ერთი ვაგონი მურაბები 85 კ. (20—17

---

**მიუხედავათ** იმისა, რომ ბაჟი მოიმატა, საქონელი გაიყიდება ისევ იმ ფასად, როგორც წინეთ იყო: კონგო-ჩაი 1 მ. 5 კ. და 1 მ. 10 კ.; საუკეთესო მინინგი 1 მ. 20 კ. და 1 მ. 40 კ. მშვენიერი კაისაუ 1 მ. 60 კ. და 1 მ. 80 კ. ძრიელ კარგი ჩაი 2 მ. გირვანქა უქაღალდოთ.

ინგლისური რევოლვერები 4 მ.—40 მანეთამდინ და თოფები 20—200 მანეთამდინ. **ინგლისის მაღაზიაში.** საგენტო ბარნსბის უნაგრების გასასყიდლათ, ჯონსის კლიტეებისა, შოკოლადისა და ეკსტრაქტისა კაკაო ფრაის, რომელთაც დაიმსახურეს პარიჟის მსოფლიო გამოფენაზედ ოქროს მენდალი გირვანქა არომატიული ჩაისა ლამაზი ჩაინიკით 1 მ. 65 კ. და სულ საუკეთესო 2 მ. 30 კ. ჯაჭვები მოიგებენ, თუ იყიდიან ბლომათ ინგლისის მაღაზიაში. მთელი კოსტიუმი 15 მ. ხვლების კონფეტები 60 კ. ერთი გირვანქა. 100—48

---

განჩაროვის ქალის მაღაზიაში,

განოვის ქუჩაზედ სოლოლაკში მიღებულია მრავალი გულისპირები და თავსაკრავები. (5—4)

---

**დასყიდვა ფასებით:**

საზამთრო პალტოები 12 მანეთიდამ; ფუფაიკები 2 მან. 50 კ.; ქუდები 1 მანეთიდამ., ფოდნოსები 5 კაპეიკიდამ; თეფშები 12 კაპ. თითო; ინდუსის ბრინჯი 10 კ. გირვ.; ინგლისური კამფეტები 40 კაპეიკიდამ, და ჩაი, რომელიც ეკელვან 2 მ. 50 კ. ღირს, ისყიდება 1 მან. 80 კ.

**ინგლისის მაღაზიაში,** არწრუნის გალერეაში. (20—17).

ხველის კამფეტები 40 კაპეიკიდამ გირვანქა; ქინაქინის ღვინო ციებისათვის—10 მან. 50 კაპ. ბოთლი, სპარსული შარბათი და ციტრატ-მაგნეზია თითო ბოთლი—70 კაპ., საუკეთესო კონიაკი—2 მან. და ძველი პორტ-ვეინი და ხერესი 1 მან. 40 კ. წმიდა სანთლები და მშრალი საპონი

**ინგლისის მაღაზიაში.** (20—19)

---

**ბიბლიოგრაფიული განცხადება.**

**დედა-ენა** ანუ ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი, სახალხო სკოლებში სახმარებელი, მესამე გადასწორებული გამოცემა. ამ გამოცემაში ჩამატებულია ოცზედ მეტი ახალი სალხური მოთხრობა და ლექსი; ახალი ანდაზები და გამოცანები, შესწორებული შინაარსი და ენა სტატიებისა და რამდენიმე ახალი სურათი არის ჩართული. ისყიდება გამომცემლის ზრიქუროვის მაღაზიაში კუკიის ხიდის ყურში. ფასი ექვსი შაური. მაგრამ წიგნი სუთშაურათ დაეთმობათ სახალხო სკოლებს და სხვა სასწავლებლებს, როცა იყიდიან ნაღდს ფულზედ ოც-და-ათს ეგზემპლიარსა და კერძოპირებს, როცა წაიღებენ ასს ეგზემპლიარსა.

**ბუნების კარი** ანუ საკითხავი წიგნი უმცროს კლასებში სახმარებელი, მესამე გამოცემა შევსებული ახალი სტატიებით და შემკული სურათებითა და საქართველოს კარტით; ფასი თხუთმეტი შაური. ისყიდება ვარ ანოვთან და სხვა წიგნების მაღაზიებშიაც. ეგზემპლიარი დაეთმობა თოთხმეტ შაურათა, ვინც თხუთმეტს ეგზემპლიარს ერთათ ნაღდს ფულზედ იყიდის, ცამეტ შაურათ, ვინც ერთად წაიღებს ოც-და-ათს ეგზემპლიარსა და სამ აბაზათ ასი ეგზემპლიარის ერთათ მყიდველსა.

ვისაც სურს ან პირველი ან მეორე წიგნი ყდაში ჩასმული მიიღოს, წიგნის ფასს უნდა სამი შაური დაუმატოს.

როგორც **დედა-ენა**, ისე **ბუნების კარი** მოწონებულნი არიან (**рекомендованы**) და სახელმძღვანელოდ დადებულნი პეტერბურღის მსწავლულთა კომიტეტისაგან, განათლების მინისტრის დამტკიცებით. (10—4)

---

თფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საადგილ-მამულო

# ბანკისაგან

**ზედამხედველი კომიტეტი თფილისის თავად-აზნაურთა საადგილ-მამულო ბანკისა,** წესდების მე-83 მუხლის ძალით, მოიწვევს ამა ბანკის წევრთ-დამაარსებელთ ჩვეულებრივ საზოგადო კრებაზედ, რომელიც იქნება ამ 1881 წელს 26 აპრილს, დილის 10 საათზე, ბანკის სადგომში.

**განსახილველი საგნები:**

1) განხილვა და დამტკიცება ბანკის გავლილ 1880 წლის ანგარიშისა (შემოსავალ-გასავლისა).

2) განსაზღვრა—თუ რაზედ უნდა დაიხარჯოს ბანკის შემოსავლიდამ „საზოგადო საჭიროებათათვის“ გადადებული ფული.

3) განხილვა ბანკის გამგეობის გასავლისა ამ 1881 წლისათვის.

4) ამორჩევა ბანკის გამგეობიდამ რიგით გამოსულის წევრის თ. ჩოლაყაშვილის სამაგიერო წავრისა და გამგეობის წევრების სამის კანდიდატისა. (7—3)

---

ქუთაისის საადგილ-მამულო ბანკისაგან

**ზედამხედველი კომიტეტი ქუთაისის თავად-აზნაურობის საადგილ-მამულო ბანკისა** აცნობებს ხსენებულის ბანკის წევრთა, რომ **ჩვეულებრივი წლიური საზოგადო კრება** დანიშნულია ამა წლის 30 **აპრილისათვის**, დილის თერთმეტ საათზე. ქ. ქუთაის ბანკის გამგეობის სადგომში.

საზოგადო კრების განსახილველი საგნები არიან შემდეგნი:

1. განხილვა და დამტკიცება ბანკის ანგარიშისა 1880 წლისა
2. დამტკიცება ბანკის ხარჯებისა 1881 წლისათვის.
3. შეცვლა ბანკის წესდების ზოგიერთის § §-სა.
4. დანიშნვა იმ საგნებისა, თუ რაზედ უნდა მოხმარებულ იქნეს საზოგადო საჭიროებათათვის გადადებული ფულები.
5. ამორჩევა რიგით გამოსასვლელთ მაგიერ: ბანკის გამგეობის თავმჯდომარისა, ორთა ზედამხედველის კომიტეტის წევრთა და ბანკის გამგეობის წევრთა ერთის კანდიდატისა. (3—1)

Дозволено цензурою. Тифлисъ, 4 Апрѣля 1881 г Типографія С. Меликова. გამომც. ს. მელიქიშვილი. რედაქტორები: ილ. ჭავჭავაძე და ს. მესხი.